

პარასკევს, 3 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დ.სარაჯიშვილის აუდიტორიაში ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითმა ცენტრმა ([www.traccc.cdn.ge](http://www.traccc.cdn.ge)) გამართა საჯარო დისკუსია ფინანსური პოლიციის უფროსთან ბ-ნ დავით კეხერაშვილთან თემაზე: „საქართველოს ფინანსური პოლიცია, მიღწევები და პრობლემები“.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გია ხუბუა, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გამოთქვა კამყოფილება ამგვარი შეხვედრის მოწყობისა და ამასთანავე, გამოხატა მზადყოფნა მომავალი თანამშრომლობისა. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ჟურნალისტები.

ბატონმა დავით კეხერაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ზოგადად გააცნო ფინანსური პოლიციის სტრუქტურა ([www.finpolic.gov.ge](http://www.finpolic.gov.ge)), ისაუბრა გაუმჯობესებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და საკადრო პოლიტიკაზე. შეხვედრა ძირითადად წარიმართა კითხვა-პასუხის ფორმატით.

პირველი კითხვა, რომელიც დამსწრე საზოგადოებისაგან წამოვიდა ეხებოდა საკადრო პოლიტიკას.

ბ-ნმა დავითმა აღნიშნა, რომ ამჟამად ფინანსური პოლიციის რიგებში მთელი საქართველოს მასშტაბით ირიცხება 625 თანამშრომელი, ძირითად, იურისტები და ეკონომისტები. მათი უმრავლესობა მუშაობს თბილისში. რეგიონებში ხდება პირველადი გამოძიება და ინფორმაციის მოძიება. თანამშრომელთა ხელფასები მერყეობს 700-დან 1800 ლარამდე, გარდა ამისა, კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარე, თანამშრომლებს ეძლევათ პრემია. რეფორმების შემდეგ 2,5 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით დათხოვნილი იყო 600 - მდე თანამშრომელი. ორი მათგანი ქრთამის აღების გამო, უმრავლესობა კი სამსახურეობრივი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებისათვის. ზოგადად, კადრების პრობლემა მაინც აქტუალური რჩება. ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობა ცდილობს მოიხიდოს ახალგაზრდა პროფესიონალი კადრები, რომლებიც არ არიან გასვრილნი წინა წლების კორუფციულ საქმიანობაში.

შემდეგი კითხვები ეხებოდა იმ ახალ რეფორმას, რომლის განხორციელების შედეგადაც 2007 წლიდან ფინანსური პოლიცია, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული აღარ იარსებებს.

ბატონმა დავითმა ბრძანა, რომ ახლადშექმნილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეითავსებს ფინანსური პოლიციის, საბაჟოსა და საგადასახადო დეპარტამენტების ფუნქციებს, სავარაუდოთ იწოდება როგორც „შემოსავლების ადმინისტრაცია“. ყველაზე დიდი პლიუსი ამ რეფორმისა იქნება ის, რომ მეწარმეებთან შეხება ექნება არა ფინანსურ პოლიციას, არამედ საგადასახადო სტრუქტურას, რაც მას მართებულად მიაჩნია როგორც ტექნიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ასეთი გაერთიანებული სტრუქტურის შექმნისას მხედველობაში იყო მიღებული აშშ-ს, ჰოლანდიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება ქართული სინამდვილის გათვალისწინებით. რეფორმის შედეგად, ცხადია, კვლავ დადგება კადრების ოპტიმიზაციის საკითხი, მაგრამ ეს შედარებით მცირე მასშტაბით განხორციელდება და ძირითადად შეეხება კადრების განყოფილებას. დანარჩენი სპეციალისტები მეტ-ნაკლებად კვლავ

თავიანთი ფუნქციებით იქნებიან დატვირთულნი. ის საკითხი, თუ ვინ უხელმძღვანელებს ამ გაერთიანებულ ახალ სტრუქტურას ჯერ-ჯერობით არ განხილულა.

**Tracc-**ის დირექტორმა ბატონმა ალექსანდრე კუხიანიძემ დასვა კითხვა, თუ როგორი დინამიკა შეიმჩნევა საქართველოში ფინანსურ დანაშაულთან მიმართებაში და თუ იცვალა სახე დანაშაულის ტიპებმა.

ბატონმა დავითმა ბრძანა, რომ აქამდე ძირითადი ფინანსური დანაშაული მდგომარეობდა „ყალბ აქტივებში“ – ფინანსური მახინაცვებით სახელმწიფო გამოდიოდა მოვალედ ამა თუ იმ ორგანიზაციის. ფინანსური პოლიციის ძალისხმევით 300.000.000 ლარის აქტივი უკვე გაუქმებულია, დღეს ასეთ ქმედებებს ადგილი აღარა აქვს. რაც შეეხება გადასახადების გადახდას მსხვილი ბიზნესისა და საშუალო ბიზნესის დონეზე, ეს პრობლემა ფაქტიურად აღარ ფიგურირებს, პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია მცირე მეწარმეებთან მიმართებაში.

დარბაზიდან დაისვა კითხვა, ე.წ. „შევარდნებთან“ დაკავშირებით, მოყვანილი იყო სწრაფი კვების ობიექტის „ნიკალას“ მაგალითი. დამსწრე საზოგადოება დაინტერესდა აგრეთვე რის მიხედვით ხელმძღვანელობს ფინანსური პოლიცია შესამოწმებელ ობიექტთა შერჩევაში და განხორციელებული ოპერაციები რამდენად აფერხებს ამა თუ იმ ობიექტის მუშაობას.

ბატონმა დავითმა აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ „ნიკალას“ ხელმძღვანელობას შეეძლო უსწრაფესად წაეშალა რეალურ მონაცემთა ბაზა კომპიუტერში, ამიტომ ფინანსური პოლიცია იძულებული იყო ეს ოპერაცია ამ, არც თუ სასიამოვნო, ფორმით განეხორციელებინა. ამ ოპერაციის შედეგად დამალული ორი მილიონი ლარი შევიდა ბიუჯეტში. შესამოწმებელ ობიექტთა შერჩევა ხდება ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცხადია, ეს ინფორმაცია მრავალგზის მოწმდება. შემოწმება ობიექტებზე ხდება ძირითადად საწყობებში, ამიტომ ობიექტს ხელი არ ეშლება მუშაობაში. ობიექტის დალუქვას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმართავენ. ასეთი რამ მოხდა ერთ-ერთი ავსტრიული კომპანიის შემოწმების დროს, როდესაც არსებობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია, ამ კომპანიის მიერ შემოტანილი საკვები პროდუქციის (ძეხვეულის) შემოწმების აუცილებლობის თაობაზე. როდესაც საქმე ეხება საკვები პროდუქტის ვარგისიანობას, ამ შემთხვევაში საკითხი განსხვავებულად დგას, შესაბამისი დასკვნების გამოტანამდე პროდუქციის წარმოება, ან გაყიდვა იკრძალება. პარალელურად მიმდინარეობდა ამ კომპანიის დოკუმენტაციის შემოწმება. ავსტრიის მხარესთან წერილობითმა ურთიერთობამ გარკვეული დრო წაიღო. დარღვევები აღმოჩენილი იყო ფასების გაყალბებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა თამბაქოს კონტრაბანდას, კერძოდ იმას, თუ დადგენილმა აქციზმა რა გავლენა იქონია თამბაქოს კონტრაბანდაზე.

ბატონი დავითის სიტყვით, 2005 წლის პირველ იანვარს თამბაქოს აქციზის შემოღების შემდეგ თამბაქოს 55 % - 60 % -იანი კონტრაბანდა დღეისათვის დაყვანილია 10 % - 15 % -მდე.

უნივერსიტეტის პროფესორის ბ-ნ აპოლონ ფალიაშვილის კითხვაზე, არსებობს თუ არა პრეცედენტი, რომ პროკურორის შუამდგომლობა ამა თუ იმ

ორგანიზაციის ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით მოსამართლეს არ დაექმყოფილებინოს, ბ-მა დავითმა უპასუხა, რომ არსებობს და თან - არა ერთი.

ბ-მა აღექსანდრე კუხიანიძის კითხვაზე თუ რამდენად ფლობს ფინანსური პოლიცია ინფორმაციას საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფების ჩართულობაზე კონტრაბანდაში, ბ-მა დავითმა უპასუხა, რომ ასეთი ინფორმაცია არსებობს, თუმცა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ეს ინფორმაცია დახურულია.

დაისვა კითხვა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა კანონმდებლობაში ისეთი ხარვეზები, რაც ხელს უშლის ფინანსურ პოლიციას თავისი საქმიანობის უკეთ წარმართვაში, ტარდება თუ არა ტრენინგენი და სწავლებები კადრების დონის ასამაღლებლად

ბ-მა დავითმა უპასუხა, რომ კანონმდებლობის თვალსაზრისით იგი ხარვეზებს ვერ ხედავს, პრობლემას წარმოადგენს უფრო იმ ადამიანთა მენტალიტეტი, რომლებიც ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აცნობიერებენ ფინანსური პოლიციის საქმიანობის აუცილებლობასა და საჭიროებას. რაც შეეხება სწავლებებს, ცხადია, ასეთი სწავლებები და ტრენინგენი მიმდინარეობს.

იმაზე თუ სად შეიძლება საჯარო ინფორმაციის მოპოვება, ბ-ნმა დავითმა უპასუხა, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია საფინანსო პოლიციის კანცელარია.